თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 17

ქ. თელავი 18.12.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დ. გოგოშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ზ. ლილუაშვილი; გ. მამუკელაშვილი; ზ. ნაცარაშვილი.**

აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გ. ორკოდაშვილი;** დეპუტატები: **დ. ღაღანიძე; გ. ჩაბრაშვილი; ლ. ლილუაშვილი; ი. პარწიკანაშვილი; ვ. არაბული; უ. ჭოტიაშვილი; ზ. ყარასაშვილი; ა. თვალიაშვილი; მ. გრემელაშვილი; გ. წაწალაშვილი; ბ. ქოჩიშვილი; გ. ქიზიყელაშვილი; გ. წულუკიძე; ბ. გაიპარაშვილი;** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** მერის მოადგილე - **გ. თუშიშვილი;** სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **მ. ჩაფურიშვილი;** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი;** სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **დ. ნუსხელიძე;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნ. ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **გ. ენუქიძე;** ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - **ვ. გაგნიძე;** მოქალაქე - **მ. მოსიაშვილი; ა. მჭედლიშვილი; ნ. ესიტაშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე" გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

თანამომხსენებელი - გ. თუშიშვილი

<u>**მოისმინეს:**</u> „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე" გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ.

დავით გოგოშვილმა სიტყვით მიმართა კომისიის წევრებს, რომელმაც აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წინა (23.11.2018 წელი) სხდომაზე, თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას წარმოიშვა რიგი საკითხები, რომლითაც მივმართეთ თელავის მუნიციპალიტეტის მერიას და მოვითხოვეთ დასმული საკითხების შესაბამისად შესწორება მომხდარიყო ბიუჯეტის პროექტში. ამასთან დაკავშირებით დ. გოგოშვილმა განმარტებები მოსთხოვა შესაბამისი დარგის ხელმძღვანელებს - ნ. ვაყელიშვილი, გ. ენუქიძე, ვ. გაგნიძე. საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები გააკეთა - გ. თუშიშვილმა.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> თითქმის ყველა დეპუტატმა ინდივიდუალურად განიხილა მისთვის საინტერესო საკითხები და შეჯერდნენ, რომ ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში შემდეგნაირად გადანაწილდეს თანხები:

ვინაიდან 2018 წლის განმავლობაში არ მომხდარა საპრივატიზებო ნუსხაში არსებული ობიექტების პრივატიზება. აღნიშნულიდან გამომდინარე 2019 წლის ბიუჯეტში მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას 200,0 ათ.ლარი არაფინანსური აქტივების კლება და შესაბამისად გაიზარდოს პრივატიზების მუხლში შემოსავლები. ასევე ინფრასტრუქტურის ღონისძიებების მუხლში, გზების რეაბილიტაცია - 1077,0 ათ. ლარს მოაკლდეს 200,0 ათ ლარი და ჯამში ეს თანხები (400,0 ათ.ლარი) გადანაწილდეს შემდეგნაირად:

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციის ხარჯი გაიზარდოს 100,0 ათ.ლარით და დაფინანსდეს 320,0 ათ.ლარით;
2. მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების თანხას დაემატოს 50,0 ათ. ლარი და დაფინანსდეს 250,0 ათ.ლარით;
3. მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისათვის გამოყოფილ თანხას დაემატოს 40,0 ათ. ლარი და დაფინანსდეს 70,0 ათ.ლარით;
4. ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებების მუხლში, ახალი ნიაღვარმიმღებების მოწყობას დაემატოს 100,0 ათ. ლარი და დაფინანსდეს 130,0 ათ.ლარით;
5. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების მუხლში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ტრენაჟორების მოწყობა - დაემატოს 110,0 ათ.ლარი და დაფინანსდეს 310,0 ათ ლარით.

<u>გადაწყვიტეს:</u> მიზანშეწონილია წინადადებების საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი